№ 701 პარასკევი, 11 დეკემბერი. 1896—1898 პარასკევი, 11 დეკემბერი № 701

სადგომი და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურთა ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პ.-რ.-ს-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

დამდეგი 1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა

გაზეთ „ცნობის ფურცელზე"

ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

ვინც ამ თავითვე გამოიწერს ერთის წლით, იმას ერთი თვე მუქთად დაეთმობა გაზეთი

ქართული თეატრი

კვირას, 13 დეკემბერს

ქართულ დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

რევიზორი

კომედია 5 მოქმ. თხზ. ნ. გოგოლისა. თარგ. ა. ქიქინაძისა.

მოთამაშენი: ქქ. კარგარეთლისა, ჩერქეზიშვილისა, გარელი, გალუსტოვისა, ბბ. აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, ადამიძე, იმერიძე, იმედაშვილი, თირელი, ხოსროევი და სხვ.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და ა. მესხი

ხუთშაბათს, 17 დეკემბერს, ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა.

ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა"

ქარხანამ მოიწვია გამოჩენილი ოსტატი, მეზუქურთმე და კანკელის მკეთებელი, ა. ფ. ბატანოვი; მოიწვია აგრეთვე კარგი მცოდნე მებელის გადაკვრისა გ. ჯაფარიძე. ამიტომ „შრომა" იღებს შეკვეთას და პირობას სდებს, რომ ძალიან კარგად შეასრულებს საქმეებს: სადურგლოს, საჩუქურთმოს, სახარატოს, კანკელისა და ძვირფას კარებების გაკეთებას, მებელის გადაკვრას, ფარდების გაკეთებას და ოთახების მორთვას, ლეიბების გაკეთებას და სხვა.

ამ ჟამად ქარხანასთან მებელის საწყობიც არის გამართული, სადაც იყიდება:

| | | |
|---|---|---|
| 1. | დიდი და მშვენიერი აბანოზის ბუფეტის შკაფი | 160 მ. |
| 2. | ქორაფის შკაფი ტანისამოსისა | 120 „ |
| 3. | ლეიბები ზღვის ბალახისა | 5 „ |
| 4. | წიგნის შკაფები | 30—35 მ. |
| 5. | შიფანერკა | 80 მ. |

პირის-საბანები, პატარა შკაფები, სადილისა და საწერი მაგიდები.

(100—56)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. ბერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კობანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ф. ბაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.

Лѣчебница В. С. Топуріа въ Кутаисѣ.

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ

БЕНКЛЕВСКІЙ

Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

# ახალი ამბავი

—

*** ბანკის დამფუძნებელთა თანხის გამო. ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, რომ უმაღლესი მთავრობის განკარგულებით ტფილისის და ქუთაისის ბანკების დამფუძნებელთა თანხა, რომელიც ნახევარ მილიონზე მეტს შეადგენს, უნდა დაუბრუნდეს ისევ დამფუძნებელ წევრთ. ამ რიგად დამდეგი წლიდან ჩვენს ორსავე ბანკებში შემოღებულ იქმნება სრულებით სხვა წეს-რიგი წევრთათვის, დამფუძნებელნი წევრებად აღარ იქნებიან და მათს ნაცვლად ბანკის ბედ-იღბალს განაგებენ ეგრედ წოდებულნი წარმომადგენლები მსესხებელთა და თავად-აზნაურთა.

სხვა, როგორც გვატყობინებენ, ქუთაისის ბანკის დამფუძნებელნი თურმე ფიქრობენ თავიანთი თანხიდან, რომელიც ნახევარ მილიონს უდრის, დააარსონ ეგრედ წოდებულ „სათავად-აზნაურო დამხმარებელი კასა", ხოლო ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა და დამფუძნებელნი წევრნი ჯერ-ჯერობით არაფერს გადაჭრილს არ დასდგომიან, უეჭველია ეს საქმე გადაწყდება დამდეგი წლის 10-ს თებერვალს, როდესაც დანიშნული საგანგებო კრება თავად-აზნაურთა...

მაგრამ ყოველი საქმე სანამ ასე თუ ისე გადაწყდებოდეს ჯერ უნდა ყოველ მხრივ აიწონ-დაიწონოს, გაისინჯოს მისი ავი და კარგი, მოსალოდნელი ნაყოფი სასარგებლო შედეგი და სხვა, ჩვენში კი სულ სხვანაირად ხდება—ყოველ საქმეს სწყვეტენ მოუფიქრებლივ, მოუმზადებლივ.

*** ჟურნალ „მოამბის" ახალი სარედაქციო წრე. ტფილისში შესდგა წრე ახალგაზდებისა, რომელთაც იკისრეს მუდმივი თანამშრომლობა ხსენებულ ჟურნალისა. სხვათა შორის, ამ წრეში თავ და თავ მონაწილეობას მიიღებენ გ. ლასხიშვილი, ალ. ფრონელი, ივ. ზურაბიშვილი და კონ. ბაქრაძე. ამ წლის ქრისტიშობისთვის ნომერი ჟურნალისა უკვე ამ წრის თანამშრომლობით გამოვა.

*** წყლის არხების გაყვანა. 9 დეკემბერს ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს წინადადება იმის შესახებ, რომ გაყვანილ იქმნას წყლის არხები ტფილისის სადგურისა და რკინის გზის საავადმყოფოდან შემდეგს ქუჩაზე—ანდრიევისა, პულვარისა, ელისაბედისა, ასათიანისა და მიხეილისაზე, საიდანაც არხები უნდა ჩაშვებულ იქმნეს, მდ. მტკვარში, აბსერვატორიის გვერდით. გამგეობა დასთანხმდა იმაზე, რომ რკინის გზამ მისცეს მას 18,000 მან., და თუ არხების გაყვანას ამდენი ფული არ დასჭირდა, მონარჩენი ფული უკან-

ვე დაუბრუნოს, ხოლო თუ მეტი ფული დასჭირდა, რაც დააკლდება, ქალაქმა შეავსოს.

*** თხოვნის შეუწყნარებლობა. 9 დეკემბერს ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა სოფ. ღრმაღელის აგარაკის პატრონთა თხოვნა იმის შესახებ, რომ მიეცათ მათ ქალაქის წყლის მილიდან დღე და ღამეში 2000 ვედრო წყალი. ქალაქის გამგეობამ, რადგან ქალაქს ხანდახან წყალი აკლდება, დაადგინა უყურადღებოდ დარჩეს ეს თხოვნა.

*** ანგარიშით ცოლ-ქმრობის შედეგი. ამასწინად ქ. ერევანში ერთმა 24 წლის ყმაწვილმა შეირთო 75 წლის მდიდარი ბებრუხანა. ჯვარის დაწერიდან რამდენიმე დღის შემდეგ „ახალგაზდა“ ცოლ-ქმარს შუა ჩამოვარდა უთანხმოება იმის გამო, რომ ბებრუხანა არ თანხმდებოდა დაემტკიცებია თვისი ქონება ახალგაზდა ქმრისათვის. ამ დღეებში ბებერი ქალი მკვდარი ნახეს და ექიმმა შეამოწმა, რომ ქალი ვიღაცას დაეხრჩო. დანაშაული დაბრალდა ახალგაზდა ქმარს, რომელიც კიდეც დაატუსაღეს.

(„ნორ-დარ.“)

*** მკითხველების საყურადღებოდ. ჩვენს გაზეთში მოყვანილი გვქონდა ცნობები ჰიპნოტიზმის საშუალებით წამლობის შესახებ. საჭიროდ ვცნობთ აღვნიშნოთ აქის აზრიც, რომელიც ბრიტანიის სამკურნალო საზოგადოებამ დაასკვნა ჰიპნოტიზმის შესახებ: ჰიპნოტიზმის საშუალებით მკურნალობა ავადმყოფი ჭკუაზე, გამბედაობაზე და ხასიათზე ძალიან მავნებელ ზეგავლენას ახდენს და ექიმიც ხშირათ შეცდომილებაში შეჰყავსო.

*** **სიღნაღი.** ქურდობა და ავაკაცობა. თუ სიღნაღს სძინავს მაზრა მოძრაობას მხოლოდ ღმერთმა შეინახოს ამისთანა მოძრაობაც დამოქმედებაც. საითაც გაივლი ყველგან ავ-კაცობა და ბოროტ-მოქმედება ეჩხირება კაცს თვალში. ერთს სოფელში იმის სახლი გატეხეს და სარჩო-საბადებელი გაიტანესო, მეორე, ვიღაცის ცხენი გაიყვანეს და გაიტყუესო და სხვანი. მაგრამ ეს სულ ხილია იმასთან, რაც ამ დღეებში მოხდა. 1-ს ამ თვეში ისევ დღისით-მზისით, სოფელ ველისციხის მისავალში ერთს ურიას გამოსჭრეს ყელი, ეს საცოდავი სოფლებში ყოფილიყო სავაჭროთ (ცხენით ატარებდა სავაჭროს) და შინ რომ მობრუნებულა, მოგვიანებოდა. ბოროტ-მოქმედნი დახვედრიან გზაზედ, გადუყვანიათ გზას და იქვე ახლოს ყელი გამოუჭრიათ, რაც კი ბადებია სულ ყველა წაულიათ. მხოლოდ ჯანდაგი ცხენი იქვე დაეტოვებინათ. ეს ურია სულ წინ მდიდრად ყოფილა, მხოლოთ ეხლა ღატაკათა ყოფილა და ამასთან შვიდი მცირე-წლოვანი შვილი დარჩომია ყოვლად უპატრონოთ. დამნაშავენი ჯერ არა სჩანან. ამ გარემოებას სასტიკი ყურადღება მიექცეს უნდა და ბოროტ-მოქმედნი აღმოაჩინონ, თორემ დღეს თუ რაღაც 6—6 თუმნისათვის ურია მოჰკლეს, ხვალ სხვას გამოასალმებენ წუთის სოფელს.

— ავი და ბოროტნი მარტო ქურდობით არ აწუხებენ საცოდავ გლეხებს. ამ რამდენიმე დღის წინათ ვიღაცამ წაუკიდა ცეცხლი ლაგოდეხის ზემოთ მთაში ტყეს და ლამის მთელი ალაზან გაღმა ტყეები გადაწვა. ამ შეუბრალებელ მტერთან საბრძოლველად გაიყვანეს ქიზიყელები. ერთმა კაცმა ცეცხლი გაუჩინა და რამდენიმე ასი კაცი მოაცდინა თავის შინაურს საქმეს და გაიყვანა უდროო-უდროოთ შიშველ-ტიტველი ცივს მთაში. კიდევ ღმერთმა უშველოს თოვლმა გაანადგურა თამამი მტერი და იხსნა ხალხი გაჭირვებისაგან. ერთი კვირა გიზგიზებდა თურმე ცეცხლი, ტყის მცველები იქვე ლაგოდეხში ისხდნენ და ყურსაც არ იბერტყავდნენ და სხვასაც არ ატყობინებდნენ. საკვირველია ღმერთმანი, ერთი სახრე რომ მოსჭრას ვინმემ საჭიროებისთვის, მაშინ ბარე ოცი ყარაული წაეხვევა კაცს, ოქმს შეუდგენენ და ერთი-ათად გადაახდევინებენ. ეხლა კი ათასობით და ათი-ათასობით ხეები იმსხვრეოდა, მთელი მთა იბუგებოდა და პატრონი არსად სჩანდა, ვიდრე გარეშე ხალხმა არ გაიგო და არ მიეშველა.

— **მაჩხანის დეშო.** ნურაფერ უკაცრავად ბატონებო, რომ ამოდენა უსიამოვნო ამბებთან სიამოვნო ვერა მოგახსენოთ რა. ნუ კი იფიქრებთ მე, განვებ, მეფისტოტელივით, მარტო ავსა ვხედავდე—არა მოხარული გახლავართ კარგის მოხსენებაზედაც, მაგრამ რა უყო— აქეთ მივდექ, იქით მოვდექ და მაინც კარგი ვერა ვიპოვნე-რა. განვებ გიახელით მაჩხანშიაც კრება უნდა მენახა, აღრევე გაზეთში აღწერილი.

წარსულ თვეში საგანგებო კრება მოხდა ამხანაგობის. ჩამოატარეს გზირები (აქ უგზიროდ არა კეთდება-რა) და როგორც იყო შეაგროვეს წევრები. კრებას ამხანაგობის ახალმა გამგეობის წევრმა ბ. მახარაძემ მოახსენა, რომ საზოგადოებამ ერთი იმდენი კიდევ თუ არ შემოიტანა რაც შემოუტანია, ე. ი. 4000 მანათიც ალებ-მიცემობის წარმოება შეუძლებელიაო. რადგან საკმაო რიცხვი არ დაესწრო იმის გადასაწყვეტათ თუ რა საშუალება იხმარონ თანხის გასაძლიერებლად, ეს კითხვა გადიდო. ამ კრებაზედ გამოაშკარავდა აქამდინ გაუგებარი ამხანაგობის შენობის საქმე. აღმოჩნდა, რომ ეს ამხანაგობისად წოდებული შენობა ჯავაშვილისა ყოფილა; ამხანაგობის გამგეობას თავის გულ-კეთილობით კა..თ მოყვარეობით და მეგობრობით დაუშვებია გამგეობის წევრ-ჯავაშვილისათვის 3000 მანეთამდინ. მხოლოდ რაკი არც ჯავაშვილსა აქვს შეძლება ამხანაგობას დაუბრუნოს თავისი დანახარჯი და არც ამხანაგობას შეუძლიან შენობის შესყიდვა, კრებამ აპუკუნები ამოარჩია და ეს შენობა იმათ გადასცა. აი ეს გადაწყვეტილება დაადგინა კრებამ, და ერთი ახალი გამგეობის წევრიც ამოირჩია ბ. ხოსიტოვი (ევდოშვილი) და ამითი დაამთავრა ხნობით თავისი მოქმედება. კრებამ შვიდობიანათ ჩაიარა. გარნა მარტო ერთი... „ოპოზიციონერად“ წოდებული წევრი შეამკეს უხამსი სიტყვებ-პასუხებით, რისთვისაც ეს „ოპოზიციონერი“ აპირობს თურმე დამნაშავის სკამზედ დააბრძანოს ცნობილი მწერალი დიმიტრი ნადირაძე. ამბობენ სჩივარი კიდევაც დაუწყიათ.

ეკალი

*** **ქ. ზუგდიდი.** სოფლის გაიმვერა ექიმბაშების მსხვერპლი. დამლევ ნოემბერს უეცრათ გარდაიცვალა, ზუგდიდშივე მოვაჭრე, ახალგაზდა ყმაწვილი ვლ. კეიდია. როგორც აღმოჩნდა ექიმის შემოწმებით და ჯეროვანი გამოძიებით, მომკვდარი საწამლავით (Canharises), რომელიც მიუღებინებია ერთ ექიმბაშს ძველი ვენერიულ ავათმყოფობის წინააღმდეგ. დამნაშავე იმერელი დიდი ხნიდან შეჩვეული და თავის ცრუ ექიმობაში საკმაოთ დახელოვნებული. პოლიციამ მაშინვე შეიპყრო და თვით ექიმბაშებმაც თავი ბრალდებულათ იცნო მხოლოდ გადუხადა „შეცდომა მოგივიდაო„ შეცდომა რო არის ეს ხომ გონი საეჭოც არ უნდა იყოს, მაგრამ ურიგობაც კი არ იქნება მგონი ასეთ ვაჟბატონებს სანამ ეს „შეცდომა“ მოუვიდოდეს, მანამდი გააბრძინებდნენ ხოლმე დალოცვილები, თორემ ასეთ ასეთი„ შეცდომებით “არა ერთი გაუმგზავრებიათ ექიმებს ბაბუასთან მოამბეთ. რაოდენჯერმე გაზ. „ცნ. ფურ.“ და „Черн. Вѣст.“ შიაც იყო მოხსენებული ცაიშელ„ ხარაზ ექიმბაშის “მოქმედების შესახებ, მაგრამ აბა ვინ მოცლიხა, თქვენი ჭირიმე. მისთვის, როდესაც თვით დედა ქალაქი გამსჭვალავი ყოფილა ასეთი ცრუ ექიმბაშებით! ურიგობა არ იქნება მიაქცევდეს ყურადღებას ვისაც ჯერ არს ჩვენ ექიმბაშსაც, თორემ იმასაც ხშირად მოუდის „შეცდომა“ და ჯერ თუმცა „ბატონის“ შიშით წყალი აქვთ პირში, მაგრამ სადაც იქნება კიდევ მოუვა „შეცდომა“ სხვასაც პირიდან წყალი დაექცევა და დაგვიანება გვანანებს. ცაიში სოფელია, ძვირათ თუ ვინმემ გაიგოს ვინ რის მიზეზით მოკვდა და ორიოდე გაემგზავრება-კი ექიმბაშის წყალობით საიქიოს, ბოლოს გვიძახიან „შეცდომაათ“.

კოლხა

## სამღვდელოების კრება ქ. ფოთში.*)

8) კრება უმთავრეს ყურადღებას აქცევს იმას, რომ არსებული სკოლები დააყენონ კარგს ნიადაგზედ, ან და გახსნან ახალი სკოლები სინოდალური საშუალებით, გამოითხოვონ რა თითო ერთ კლასიან სკოლისათვას ორას ორმოც და ათ-ათ მანეთი, ხოლო თითო ორ-კლასიანისათვის 900 მან. წელიწადში ადგილობითი საშუალებით დაფარულ იქმნება დანარჩენი ხარჯები, როგორც მაგ. შენობის ასაგებად და სასკოლო ნივთების მოსაპოვებლად, სავსებით თითო ერთ კლასიან სკოლისთვის 300 მან. წელიწადში. 9) უმთავრესი ნაწილი (85⁰ მდის) საეკკლესიო სკოლების მასწავლებლებისა ძლიერ მცირე სასყიდელს ღებულობს შრომისათვის (სწავლისათვის) 15—30 მანეთამდის წელიწადში ადგილობითი საშუალებიდან და 45 მანეთამდის სინოდალური ჯამაგირიდან. (ზოგიერთი მასწავლებელთაგანი ადგილობითი საშუალებიდან არავითარ სასყიდელს არ ღებულობს). ამისთანა მცირე ჯამაგირით, რასაკვირველია, არ შეეძლოთ ეცხოვრათ, თუ რომ სკოლების გამგე ეკკლესიის მოსამსახურენი თავიანთის საკუთარი საშუალებიდან არ აძლევდნენ შემწეობას ცხოვრებისათვის. ადგილობითი მცხოვრებნი, სამინისტრო სკოლების გადასახადებით დავალიანებულნი, არ არიან შემძლე რამენაირი შემწეობა აღმოუჩინონ ჩვენს სკოლებს. თუ კი უმაღლესი საეკკლესიო სკოლების მთავრობა არ დაუნიშნავს საეკკლესიო სკოლების მასწავლებელთ გადაწყვეტილ ჯამაგირს, მეტი ნაწილი არსებული საეკკლესიო სკოლებისა ახლო მომავალში დაიკეტება (დაიხურება). ამ დრომდის საეკკლესიო სკოლების სამსახურზე იჭერდა (იკავებდა) ის, რომ თავიანთის ერთგულის სამსახურით მიიღებდნენ პრიჩეტნიკობას მაინც. მაგრამ ეხლა, დღიდან სინოდის უქაზის გამოცემისა იმაზე, რომ ამ გვარ (პრიჩეტნიკის) ადგილებზედ დანიშნულ იქმნან ისინი, რომელნიც

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 700.

...რენ ეგზამენს (გამოცდე...) დანიშნულ (უწმ. სინოდისგან ახლად გამოცემულ) პროგრამებზე. საეკლესიო სკოლის სამსახურმა მასწავლებლებთათვის დაჰკარგა თავისი უწინდელი მნიშვნელობა. ეს გარემოებები ძლიერ აფერხებენ საეკლესიო სკოლების წინსვლელობის საქმეს. ამისათვის, სასურველია, მასწავლებელთ, თავიანთი შრომის წასაქეზებლად, არ თხოვდნენ გამოცდას მედავითნის თანამდებობის მისაღებად, ხოლო რომელნიც დაიმსახურებენ არა ნაკლებ 10-ის წლისა საეკლესიო სკოლების სამსახურში—გამოუცდელად მისცემდნენ მღვდლობის ხარისხს. გარდა ამისა სხდომა აუცილებელ საჭიროებად სცნობს, რომ ყველ ეკლესიასთან, სადაც იმყოფების საეკლესიო სკოლა, გამწესებულ იქმნას ორი მედავითნე, რომელთაგან ერთი იქმნას მასწავლებლად. მღვდლები, რომელთაც აქვთ სკოლა თავის სამრევლოში, იქმნან დასახელებულნი პირველი კანდიდატათ დამატებითი ჯამაგირების მისაღებად.

(შემდეგი იქნება)

## წმ. დიდი მოწამე ქეთევან, კახეთის დედოფალი *)

(საისტორიო ცნობა)

«მოწყლულმან სურვილითა საღმრთოითა წყლულებანი მრავალნი თავს იხსენ და ტანჯვათა ფერადობანი ახოვნად დაითმინენ, ვინაცა წარმავალისა დედოფლობისა წილ სუფევაჲ ზეცისა დაიმკვიდრე, სამგზის სანატრელო ქეთევან, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის».

(ოხითა დიდი მოწამის ქეთევანისა).

წმ. ქეთევან დედოფალი ღრმად შეშფოთდა ასეთი უსჯულო წინადადებით და თანაც ეფიქრებოდა კახეთის სვე-ბედისა. კონსტანტინეს შეუთვალა მოციქულების პირით:

„ღვთის მგმობარო,
მამის მკვლელო და ძმისა,
ავის მქნელო, ავის მთქმელო,
შენ უღირსო სულთ-ადგმისა,
ყოვლის კაცის საძაგელო,
სულ-მოქმედო ავისა,
ღვთით ადრე, გაწყვ, შეგანანო
თხოვნა ჩემის თავისა!“
(„არჩილიანი“).

შეუთვალა ეს თუ არა, თანაც მოუწოდა კახეთის თავადებს და სთხოვა მათ, რომ ნება არ მისცენ უსჯულო კონსტანტინეს შეასრულოს თავისი გულის წადილი... კახეთის თავადებმა შეჰფიცეს წმ. ქეთევანს ერთგულებაზე და უთხრეს, რომ დაემორჩილებიან ყოველსა მისსა ბრძანებასა, კახეთის თავადებმა, კონსტანტინეს უსჯულოებით და ულვთოებით აღელვებულებმა, შეჰკრიბეს საჩქაროდ ჯარი და წავიდნენ წინაალმდეგ მამის და ძმის მკვლელისა. მათ დაამარცხეს სოფ. ბაზარში კონსტანტინეს ჯარი და კონსტანტინეც „შეკმოური იგი ანაზდით მოჰკლეს და მხიარულნი მოიქცეს დედოფლისად... კახთა გამარჯვებით აღტაცებულმა ქეთევან დედოფალმა გულ-მხურვალე მადლობა მიუძღვნა მრავალ მოწყალე ღმერთსა და მიულოცა ჯარს გამარჯვება.. კეთილშობილურ ხასიათის მქონებელმა დედოფალმა თვის ბოროტი მაზლის გვამი პატივით დამარხა, როგორც იმის გვარ-მაღლობას შეეფერებოდა. ამის შემდეგ რამდენისამე წლის განმავლობაში წმ. ქეთევან დედოფალი მყუდროდ და მშვიდობით განაგებდა კახეთის საქმეებსა. მის ცხოვრების აღმწერი იტყვის: „ვინ სადამე უფროს შეამკვნა და განამდიდრნა წმიდანი ეკკლესიანი, ვინ სადამე უფროს პატივსცა ყოველსა სახესა სიბრძნის მოყვარებისასა, ვინმე უფრო განჰლიდნა ხორცნი მარხვითა და მღვიძარებითა, ვინ უდიდეს შეამკო სამეფოჲ თვისი, როგორც ამან სისხლითა თვისითა“.

წმ. დედოფლის თხოვნით კახეთში მეფედ დამტკიცა შაჰ-აბაზმა თექვსმეტი წლის თეიმურაზი, მისი შვილი, რომელიც აღზრდილ იქმნა სპარსეთში ქრისტიანად... დიდი საჩუქრით გამოისტუმრა ცბიერმა შაჰ-აბაზმა თეიმურაზი კახეთში და თანაც, თითქმის იმათ კონსტანტინეს სიკვდილი, უთხრა მას: „მეც მიამა, კარგად ქმნილა... ავის მქმნელსა ასე უნდა“ („არჩილიანი“). წმ. დედოფალმა თეიმურაზს მიანდო და თვით სულის შინაგან სიკეთეთა აღყვავების საქმეს შეუდგა... მალე შეირთო თეიმურაზმა ცოლათ გურიელის ასული ანნაჲ, რომლისაგან გაუჩნდა ორი ვაჟი ლეონი და ალექსანდრე... თეიმურაზს პირველი ცოლი გარდაეცვალა და შაჰ-აბაზის ბრძანებით შეირთო მეორე ცოლად ხვარამზე, დაჲ ქართლის მეფის ლუარსაბ მოწამისა... ლუარსაბის უმცროსი დაჲ ცოლად ჰყავდა თვით შაჰ-აბაზსა... მალე ცილი დასწამა შაჰ-აბაზმა თეიმურაზს, ვითომც მას წაერთმიოს მისთვის საცოლე ხორეშანი, რომლის შერთვა უნდოდა ვითომ შაჰ-აბაზს და არა ელენესი. შაჰ-აბაზი უსაფუძვლოდ განრისხებული ქართველ მეფეებზე, დიდძალი ჯარით წამოვიდა საქართველოსთან საომრად, ვინაიდგან, როგორც იტყვის მემატიანე, მას „ძვირი ჰქონდა დაფარულდ გულსა თვისსა ჩვენს მეფეებზე“.. მატიანეს ასეთი თქმულება ექვს გარეშეა, რადგან დარწმუნებით ვიცით, რომ შაჰ-აბაზი დაუძინებელი მტერი იყო ქართველებისა და მათი მეფეებისა. მან ლუარსაბის მამას, ქართლის მეფეს გიორგი მეათეს (1600—1605 წ.) მაჰადიანობის მიუღებლობისთვის შხამი შეასვა და მოჰკლა. შაჰ-აბაზის პირველი შემოსევა კახეთში მოხდა 1615 წ. კახეთი ამ დროს ძლიერი და მდიდარი მხარე იყო, მოფენილი მრავალ ციხე-კოშკებით, ტაძარ-მონასტრებით და სასახლეებით. შაჰ-აბაზის განძრახვა იყო სრულიად ამოეწყვიტა ქართლ-კახეთის სამეფო გვარეულობა და იმის შემდეგ მოეფინა აქ მაჰმადიანის სჯული. როცა კახეთის ხალხმა შეიტყო შაჰის მოახლოება და დაბანაკება განჯას, შიშის ზარი დაეცა მას... სასო წარკვეთილმა ხალხმა თვისს მხსნელად დასახა ქეთევან-დედოფალი, რომელსაც სთხოვა შაჰ-აბაზთან წასვლა რათა მას თვით ეთხოვა მისთვის არ აღეოხრებინა კახეთი. მას ერთის მხრით შესძახა ხალხმა: „წარვედ, ჰოი დედოფალო, წარვედ და გვიხსნენ ჩვენ“. სწორედ ამ დროს შაჰ-აბაზის ელჩები მოვიდნენ თეიმურაზთან და უთხრეს მას, რომ შაჰ-აბაზი ოსმალეთთან ომს აპირობს და შენგან ერთგულების ნიშნად წინდს თხოულობსო. თეიმურაზმა წინდად თავისი უფროსი შვილი გაუგზავნა და თან გააყოლა დედაჲ თვისი, ვინაიდან ჰფიქრობდა: „თუ გავგზავნი დედასა ჩემსა დედოფალსა ქეთევანს ვედრებად შაჰ-აბაზისა მიმართ, ისმენს ვედრებასა მისსა და არღარა აღაოხრებს სამეფოსა ჩემსა“...

ილ. ფერაძე

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 700.

## ქართული სამკურნალო მწერლობის ისტორია.

დიდი ხანია რაც ბ. ზ. ჭიჭინაძე სწერს ქართული სამკურნალო მწერლობის ბიბლოგრაფიულს წერილს, ეს წერილი ისტორია არის ქართულის ექიმობისა. აღწერაში ჩამოწუსხულია შემდეგი: საქართველოში ექიმობის აღორძინება, ქართველთა მკურნალნი და დოსტაქარნი, სამკურნალო მწერლები და მათი კარაბადინები, ექიმნი და მათი მოწაფენი, მათი წეს-წყობილება, და რიგი მოწაფეთა სწავლების დროს. ქართველთ ექიმთა სამკურნალო სახლი და „წამალ-ხანა“.

ჯანაოზ ექიმის „კარაბადინი“ შარიეზადეს კარარაბადინი, ბოლრატ ექიმი, დოლმან ექიმი ვინ იყო, ზაქარია მამადაშვილის „კარაბადინი“ ბაგრატ ბატონიშვილისა, და ჯიკა ბატონიშვილისა კათოლიკის ზერებისაგან შედგენილი „კარაბადინები“ და შეგროვება სხვადასხვა „კარაბადინები“, რომელნიც-კი ქართულს ენაზე არსებობენ და ჩვენ დრომდისაც მოუღწევიათ.

აღწერილია, 30-მდე ხელთნაწერი, ამ ხელთნაწერთა გადამწერთ ამბები და დამწერთა ცხოვრების ცნობები. ჩამოთვლილია ყველა იმ სატკივართა სახელები, რაც-კი ხელთნაწერებში მოიპოვება და აღწერილ არის ხელთნაწერთა სივრცე, ზომა და აგრეთვე ის, თუ სად ვის ხელში რა ხელთნაწერები ინახება, რომ მსურველთ ადვილათ შეეძლოთ მათი მოპოვება.

აწერილია აგრეთვე ქართველთ ექიმთაგან წამლების შემზადება, საიდგან შემოჰქონდათ ზოგი წამლები,—უძველესი დრო, უძველეს „კარაბადინების“ მთარგმნელნი და მწერალნი, დაბეჭდილი „კარაბადინები“ თუ სად, როდის რომელი ქართული „კარაბადინი“ დაიბეჭდა ან ქართული სამკურნალო მწერლობის შესახებ ქართულსა და რუსულს ენაზე რა დაწერილა, სად რა არის დაბეჭდილი.

ამ ხელთნაწერის მნახველნი გვარწმუნებენ, რომ წიგნში შეტანილ ბევრი საინტერესო ცნობებია მოთავსებული, მაგალითებრ დამწერს „ქართლის ცხოვრებიდამაც“ გამოუკრებია სხვა-და-სხვა ცნობები ქართველთა წამლობის შესახებ და გაურკვევია ისიც, თუ საქართველოში როდის უნდა შემოეტანათ კაცს საწამლავი და ან ამით უძველეს დროებაში ვინ არიან მომკვდარნი.

საბეითალო (ვეტერინარულის) აღწერასაც აქვს ადგილი დათმობილი. ამის ისტორია და არაბთა, ებრაელთა, ჰინდელთა, ეგვიპტელთა და სპარსთა მკურნალთა გავლენა ქართველ მკურნალებზე. ცნობებიდგან სჩანს, რომ საზოგადოდ ექიმობა ძველის-ძველ დროიდგან სცოდნიათ.

უკანასკნელ ქართველი დედაკაცები და მათი ექიმობაც ნაშტეურ ჯერა ექიმობა და მათი შრომა, ამ საუკუნის ექიმნი და ლექსიკონამდე აქა იქ ოჯახებში დაშთენილი მკურნალობის ცნობები.

ეს წიგნი ჩვენს ექიმებს კარგს მასალას მისცემს, ეს აუწყებს მათ ბევრს რამე ცნობებს და თან გაუღვიძებთ გრძნობა და კვლევა საექიმო მწერლობის გაცნობისათვის. წიგნი ცალკე გამოვა.

აღწერილია აგრეთვე ზოგიერთი მონასტერი ქართველთა, აქ მცხოვრებ ქართველთა მამანი, მათი ექიმობის ცოდნა, სამკურნალო შრომა და წამლობა.

## წვრილი ამბავი

გაყიდული კოცნა. მეტად უცნაური ხალხია ინგლისელები: ამ დღეებ-

ში ქ. ლონდონში ერთმა ნიჭიერმა, ლამაზმა და ახალგაზრდა მსახიობმა ქალმა მისს გარდოუმ გამოაცხადა: „ჩემს კოცნას ვყიდი ღარიბთა სასარგებლოთაო“ ერთმა მდიდარმა კაცმა ასი თუმანი შესძლია, მაგრამ ჩქარა კოცნის ფასი რვაას თუმნამდე ასწიეს, გამარჯვებული დარჩა ერთი მოხუცი პოლკოვნიკი ფარტესკი, რომელმაც ეს რვაასი თუმანი ამოიღო და ლამაზ ქალს მოახსენა: „უკაცრავად, ქალბატონო, ინებეთ ფული, მაგრამ თქვენის კოცნის უფლება ჩემთვის კი არა, ჩემის პატარა შვილისთვის ვიყიდე, რომელიც დღეს შვიდის წლისა შესრულდა. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ აკოცოთ. მსახიობმა ქალმა აღტაცებით აასრულა ეს თხოვნა და დაჰკოცნა მშვენიერი ბუნჩულა ყმაწვილი.

## ყურმოკრული საუბარი

ერთი ყმაწვილი კაცი ეკითხება ქალს:

— მაშოჯან! ერთი რომ გაკოცო, ხომ არ გეწყინება?!

— მე კი არ მეწყინება, ჩემო სულიკო, მაგრამ დედა გამიჯავრდება!

— დედა რას გაიგებს, ჩვენ ბაღში ვართ და ის სახლში?!

— როგორ ვერ გაიგებს?! სიხარული არ დამაყენებს და დედასთან წარმომათქმევინებს: „გიგოს ვუყვარვარ და მაკოცა-მეთქი!“

— მერე რათ გაგიჯავრდება?

— იმათ, რომ რატომ ბევრჯერ არ აკოცნინეო.

—

— ბ. ექიმო, როდესაც მე მწამლობდით დიდი შეცდომა მოგივიდათ, თქვენ მითხარით მოკვდებითო და მე კი აგერ დღესაც ცოცხალი ვარ.

— არა, ბატონო, ყოვლად შეუძლებელია, რომ მე შემცდარი ვიყო,

— მე როგორ?

— ისე რომ თქვენ თუმცა ცოცხალი ხართ, მაგრამ მეცნიერებისთვის კი დიდი ხანია მოკვდით.

## გამოსადეგი ცნობა

წვეთის დაცემა. წვეთის დაცემა არის ის მდგომარეობა, როდესაც ადამიანის ტვინში ყველა სისხლის ძარღვები დაიფსება და ერთი რომელიმე მათგანი გასქდება. ეს სნეულება ადამიანს უეცბ მოსდის და სრულიად უგრძნობლად ხდის, რის გამო ბევრი უცებ მაღლიდან ძირს ვარდება და ტვინი უზიანდება. წვეთ დაცემულ ადამიანს ეკარგება გრძნობიერება, მეხსიერება, ზოგ შემთხვევაში თვალები ეხუჭება და ზოგჯერ კი სრულიად [illegible], სუნთქავენ მძიმედ და ხრიალით, სახეთი მთელი სხეულის სასუსტე, ედამბლავდება ერთი ან ფეხი და ხელი, აგრეთვე ეკარგება ერთ-ერთი მხარე პირის სახისა, ამ შემთხვევაში კარგია მიიღოთ შემდეგი ზომები: ჩაყაროთ პატარა ტობრაკში ყინული და დაადვათ ავადმყოფს თავზე, თუ ყინული არ იპოვება, ცივი ტილო აფინეთ; აგრეთვე კარგია მდოგვის ან ხიზილალის დადება ბეჭებზე და გასაფადარათებელი ზეთი.

## განცხადებანი

**ექიმი**
**კ. ი. გძელიშვილი**
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ.
Докторъ К. И. Гдзелишвили.
Михайловская, противъ кирки.
(100—63)

ახლად შემდგარი სუფსის მეეტლეთა ამხანაგობა
**„კავშირი“**
იწყებს თავის მოქმედებას პირველ ნოემბრიდან.
ეტლთა მიმოსვლა არის შედარებული მატარებლის მიმოსვლასთან.
სუფსიდან გადის ომნიბუსი ქ. ფოთში დილის 10 საათზე, ბრუნდება 6 საათზე საღამოს.
ფასი დაწესებულია ერთი მანეთი
ამხანაგობის გამგე ბ. შ. კომახიძე
(15—11)

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
**იმერული**
**სცენები**
შეკრებილი კ. მესხის მიერ
ფასი 5 კაპ.
ვინც „ცნობის ფურცლის“ რედაქციიდან გამოიწერს ერთბაშად 25 ცალს, იმას ერთ მანათად დაუთმობს.
(12—5)

გამოვიდა და ისყიდება „წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგ. მაღაზიაში
**იუდა**
(ნადსონისა)
ნათარგმნი **ილ. ფერაძის-მიერ**, გამოცემა **ექ.** ხელაძისა. ფასი **3** კაპიკი.
იმავე ავტორის თხზულება: **Мысли Преосвященнаго Гавріила епиcк. Имеретіи о воспитаніи дѣтей**“ ისყიდება ბ. ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში, ფასი **20** კაპ.
(10—5).

გამოვიდა მეორე წიგნი
**რუსულ-ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონისა**
ივანე როსტომაშვილის რედაქციით.
ფასი მთელის გამოცემისა (12 წიგნისა, დიდის ზომისა, თითო 200 გვერდამდე, წვრილის ასოებით დაბეჭდილი)—მარტო **12 მან.**, რომელიც ხელის-მომწერთ შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანონ: პირველად ორი მანეთი (გაეგზავნებათ ორი წიგნი), ხოლო დანარჩენი ათი მანეთი ისევ ორ-ორ მანეთობით ახალის წიგნების მიღების შემდეგ.
თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ რუსულს ენაზე ასეთი ლექსიკონები ღირს ხ უ თ ი და ა თ ი თ უ მ ნ ე ბ ი და ვერც ჩვენს მკითხველს აკმაყოფილებენ სავსებით რადგანაც მათში თითქმის არაფერი ცნობა არ მოიპოვება ჩვენის ქვეყნის შესახებ,— ყველა დაგვეთანხმება, რომ მოხსენებული ფასი ჩვენის ლექსიკონისა სულ მცირეა და ამიტომ ყველასათვის ხელ-მისაწვდომი. მესამე წიგნი ასო **ЗОН**-ზე გამოვა მარტის გასულს. თფილისში ხელის-მოწერა მიიღება ავტორთან, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და ბ. ხიდეკელის წიგნების მაღაზიებში, ხოლო ქალაქ გარეშე ხელის-მომწერლებმა ფული და წერილები უნდა გამოგზავნონ: въ Тифлисъ, Давид. площ. № 6, Ивану Павловичу Ростомову.
(8—4)

1899. ОТКРЫТА ПОДПИСКА 1899.
НА ЕЖЕДНЕВНУЮ, ПОЛИТИЧЕСКУЮ, УЧЕНУЮ И ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ
БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ
**СЫНЪ ОТЕЧЕСТВА**
годъ изданія 87-й ПЕРВОЕ ИЗДАНІЕ годъ изданія 87-й
издаваемую Спб. Акціон. Обществомъ печатнаго дѣл „Издатель“
подъ редакціей **А. К. Шеллера (А. Михайлова)**.
Въ будущемъ году газета будетъ выходить при участіи Л. А. Авиловой. К. С. Баранцевича, В. В. П. П. Веймарна, Н. Г. Гарина (Михайловскій)- М. Б. Городецкаго, П. В. Засодимскаго, И. Ивановича, С. Н. К., Н. В. Максимова, Д. Н. Мамина-Сибиряка, Г. А. Мачтета, К. В. Назарьевой, Вас. И. Немировича-Данченко, И. Н. Потапенко, Н. О. Пружанскаго, Э. Л. Радлова. Н. А. Рубакина, А. Сакмарова, А. М. Скабичевскаго, М. Слобожанина, К. М. Станюковича, В. А. Тимирязева, А. М. Хирьякова, А. К. Шеллера и др.
Въ ежедневныхъ нумерахъ газеты „*Сынъ Отечества*“ помѣщаются: руководящія статьи и замѣтки, литературы науки, экономической и общественной жизни во всѣхъ ея проявленіяхъ, административныя и придворныя извѣстія, а также корреспонденціи какъ заграничныя, такъ и внутреннія телеграммы (внутреннія и иностранныя): статьи по военному дѣлу, сельскому хозяйству, историческія статьи и замѣтки; торгово-промышленныя и биржевыя свѣдѣнія, судебные отчеты литературныя, театральныя и музыкальныя рецензіи, библіографіи, біографіи и некрологи современныхъ общественныхъ дѣятелей, фельетонъ общественной жизни и беллетристика, русская, и иностранная.
КРОМѢ ЕЖЕДНЕВНЫХЪ НУМЕРОВЪ ГАЗЕТЫ, ГОДОВЫЕ ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАТЪ:
**52 НУМЕРА ИЛЛЮСТРИРОВАННЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ** печатаемыхъ въ видѣ **еженедѣльнаго журнала**, гдѣ помѣщается: историческіе и современные романы, повѣсти, разсказы, стихотворенія научныя, новости и заключаетъ болѣе:
**300 ХУДОЖЕСТВЕННЫХЪ РИСУНКОВЪ:** портреты историческихъ и современныхъ общественныхъ дѣятелей, историческія, бытовыя и современныя иллюстраціи, а также карикатуры, шахматныя, шашечныя задачи и проч., что въ теченіе года составитъ большой сборникъ интересныхъ литературныхъ произведеній и иллюстрацій.
ПОДПИСНАЯ ЦѢНА на первое изданіе (съ доставкою):
на годъ—**8** р. на полгода—**4** р. на три мѣсяца—**2** р. на одинъ мѣс.—**1** р.
**ВТОРОЕ ИЗДАНІЕ ГАЗЕТЫ «СЫНЪ ОТЕЧЕСТВА»**
ВТОРОЕ ИЗДАНІЕ „Сына Отечества“ является не сокращеннымъ повтореніемъ большого изданія, а представляетъ собою самостоятельную газету, въ которую входятъ телеграммы, хроника и общеинтересный матеріалъ и въ которой имѣются свои особые отдѣлы (сельско-хозяйственныя свѣдѣнія, научныя мелочи, обиходная рецептура и т. п.).
ВТОРОЕ изданіе представляетъ собою въ Россіи первое дешевое ежедневное изданіе съ иллюстраціями.
ПОДПИСНАЯ ЦѢНА на второе изданіе (съ достав. и перес. по Россіи).
На годъ—**4** руб. На полгода—**2** руб. На три мѣсяца—**1** руб.
ЗА ГРАНИЦУ: на годъ—**10** р., на 6 мѣс.—**6** р., на 3 мѣс.—**3** р.
ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ **въ ГЛАВНОЙ КОНТОРѢ: СПБ., НЕВСКІЙ ПР., Д. № 68—40**, а также во всѣхъ книжныхъ магазинахъ, какъ столичныхъ такъ и провинціальныхъ.
(8—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Декабря 1898г. სტ. „ცნ. ფურ.“ (გ. გუნბასკი), რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჭუბ**